ბაღდათის რაიონში მცხოვრები საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე

ნათია მესხი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15.06.2023.

აბსტრაქტი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პირველადი ჯანდაცვა ეყრდნობა საოჯახო მედიცინის პრინციპებს, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის დამკვიდრებისა და არაგადამდები დაავადებათა პრევენციის პროგრამების განხორციელებას. პირველადი ჯანდაცვის მოდელი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას. აღსანიშნავია, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია მისი დაბალი ფასიდან გამომდინარე.

კვლევის მიზანია დადგინდეს ბაღდათის რაიონში მცხოვრები საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა პირველად ჯანდაცვაზე, რამდენად იღებენ შესაბამის სერვისს პირველადი ჯანდაცვის დონეზე და უფინანსდებათ თუ არა მათთვის მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ასევე მოხდეს წარმოქმნილი პრობლემების დაფიქსირება და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო რეკომენდაციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიების შეთავაზება, რათა საპენსიო ასაკის მოსახლეობას, რომლებსაც სჭირდებათ მრავალი სხვადასხვა კვლევა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა. ჩატარებული კვლევა ასევე აჩვენებს რამდენად არიან პენსიონერები გაცნობიერებულნი იმ პირველადი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე, რომელსაც სთავაზობს სახელმწიფო.

კვლევის მეთოდები მოიცავს კვლევის მიზანთან დაკავშირებულისამეცნიერო ლიტერატურის და სტატისტიკურ მონაცემების ჩარღმავებულ ანალიზს. ასევე ჩატარდა კვლევა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, რომელმაცც მოგვცა საშუალება შეგვეფასებინა რამდენად ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების სერვისები ბაღდათის რაიონში მცხოვრები საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის. წინასწარ გამზადებული ანკეტის საფუძველზე განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა. საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა ბაღდადში მცხოვრები 65+ წლის ადამიანები. წარმოდგენილი მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS პროგრამის საშუალებით.

ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურა, პირველადი ჯანდაცვის ისტორიული მხარე, პირველადი ჯანდაცვის შესახებ ინფორმაცია საქართველოში და ზოგადად რაიონებში. პენსიონერთა დაფინანსება და ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ კლინიკებში. განხილულია ასევე სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი პირველადი ჯანდაცვის შესახებ და მოსახლეობისთვის მისი ხელმისაწვდომობა. ასევე კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები დამუშავდა და გაანალიზდა, რის შემდეგაც წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო ასაკი, სოფლის ექიმი, ოჯახის ექიმი, პირველადი ჯანდაცვა

Abstract

According to the legislation of Georgia, primary health care is based on the principles of family medicine, which implies the implementation of programs for the establishment of health and prevention of non-communicable diseases. The primary care model provides early diagnosis and treatment of various diseases. It should be noted that it is accessible to everyone due to its low price.

The purpose of the study: to determine the availability of the pension-age population living in Baghdati district to primary health care, to what extent they receive appropriate services, and whether important examinations are financed for them. It is also necessary to carry out different types of measures based on the problems that have arisen and eliminate these problems so that retired people who need many different studies have access to them. My research also shows how much pensioners are aware of the availability of primary healthcare services.

Research methods: within the framework of the research presented by me, you will learn about scientific literature and statistical data. The research will be conducted using a quantitative research method, which will allow us to understand how accessible primary healthcare facility services are for the retirement-age population living in Baghdadi district. A survey of the population will be conducted based on a previously prepared questionnaire. The research object is people aged 65+ living in Baghdad. The presented data will be processed through the statistical program SPSS.

The paper presents scientific literature, the historical side of primary health care, and information about primary health care in Georgia and the regions in general. Funding and access to outpatient clinics for pensioners. The examples of different countries about primary health care and its availability to the population are also discussed. Also, the data obtained within the research was processed and analyzed, after which the conclusion and recommendation are presented.

Keywords: retirement age, village doctor, district doctor, primary health care

სარჩევი